

## გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი   ბ ა რ ა თ ი

### „გაზომვათა ერთიანობის უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ.

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი;

კანონპროექტის შემუშავება განპირობებულია „გაზომვათა ერთიანობის უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტთან.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი;

კანონპროექტის მიზანია „გაზომვათა ერთიანობის უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისობაში მოყვანა „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტთან და საერთაშორისო კანონმდებლობასთან.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი;

კანონპროექტით ხდება ტერმინთა განმარტებების დაზუსტება და შესაბამისობაში მოყვანა საერთაშორისო პრაქტიკასთან. კერძოდ, კანონს ემატება “პირველადი დამოწმების”, “დამოწმების” და “დაკალიბრების” ტერმინთა განმარტებები.

შედეგად ისაზღვრება სავალდებულო დამოწმებას დაქვემდებარებული დაკანონებული გაზომვის საშუალებების ნუსხა და მათი დამოწმების პერიოდულობა. კანონით დაკანონებულად დგინდება ის გაზომვის საშუალებები, რომლებიც გამოიყენება საგადასახადო, საბაჟო და სასამართლო ექსპერტიზის მიზნებისათვის, ასევე იმ გაზომვებში, რომლებიც კანონმდებლობის შესაბამისად იწვევს ადმინისტრაციულ ჯარიმას.

კანონპროექტის თანახმად, დაკანონებული გაზომვის საშუალებების ტიპის რეესტრში რეგისტრირდება ასევე გაზომვის ის საშუალებები, რომელთა ტიპის დამოწმების დოკუმენტაციაში მითითებული დამოწმებათაშორისი პერიოდი ნაკლებია კანონით დადგენილ პერიოდზე.

კანონპროექტი არეგულირებს დაკანონებული გაზომვის საშუალებების დამოწმებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება.

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე,

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები.

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობით, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება;

კანონპროექტის მიღება არ გააუარესებს იმ პირთა ფინანსურ მდგომარეობას, რომელთა მიმართაც ვრცელდება მისი მოქმედება;

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი);

კანონპროექტი არ აღგენს რაიმე სახის გადასახადს ან მოსაკრებელს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან.

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან  
კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს  
წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან;  
კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში  
საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ  
ხელშეკრულებებთან;  
კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ  
ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო  
ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს  
კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში;  
კანონპროექტის შემუშავებასთან დაკავშირებით გამართულ სამუშაო შეხვედრებზე  
მონაწილეობა არ მიუღიათ საერთაშორისო ორგანიზაციებს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და  
ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;  
კანონპროექტს არ ახლავს ექსპერტების შეფასება.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი;

კანონპროექტის ავტორია – საქართველოს მთავრობა.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი;

კანონპროექტის ინიციატორია – საქართველოს მთავრობა.